განმცხადებელი : ელვირ გასანოვი

თარიღი : 15-08-2022

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 1;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : ჟურნალისტი გიორგი ხუხია, ტვ პირველი

სადავო მასალა : ❗❗❗ მოვიპოვეთ ეროვნული გამოცდების გაყალბების მტკიცებულებები ⚠⚠ ზოგადი უნარების აზერბაიჯანული ტესტის სწორი პასუხები აბიტურენტებმა გამოცდამდე 1 კვირით ადრე იცოდნენ https://www.facebook.com/watch/?v=1022401229160077 გაჟონა თუ არა საგამოცდო ტესტებმა აზერბაიჯანელ აბიტურიენტებში? გამოცდების ეროვნული ცენტრი ამ დრომდე დუმს - ზოგადი უნარების რეპეტიტორი კი რომელსაც ტესტების გავრცელებაში ადანაშაულებენ პირველებთან პირველ განმარტებას აკეთებს https://www.facebook.com/watch/?v=363129605844258

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება : 7 აგვისტოს გადხა ცნობილი რომ აზერბაიჯანულენოვანი ერთიანი გამოცდა უნარებში გამოცდამდე ერთი კვირით ადრე გაჟონა და დაურიგდა აბოტურიენტებს. 4-5 აგვისტოს გამოქვეყნდა ერთიანი ეროვნული გამოცდების აზერბაიჯანულენოვანი უნარების გამოცდების შედეგები. ეღავათიანი გამოცდების ჩაბარება ეთნიკურ უმცირესობებისთვის 2010 წლიდან მუშაობს. მ გამოცდის ჩაბარებისას აბიტურიენტი ერიცხება უნივერსიტეტში სადაც ერთი წლის განმავლობაში სწავლობს ქართულ ენას. რთი წლის შემდეგ კი ქართულის გამოცდის ჩაბარების გადამსვლელი ქულების შემთხვევაში აგრძელებს სწავლვას უნივერსიტეტში სასურველ ფაკულტეტზე. როგრამა 1+4 სახელწოდებითაა ცნობილი. ედიაში გავრცელდა ინფრმაცია გამოცდეის წარმატებულად ჩაბარების შესახებ. https://marneulifm.ge/ka/marneuli/article/62770-1-plus-4-programi-ile-ali-mekteb ბოტურეინტებმა მიიღეს მაღალი გადამსვლელი ქულები. ნფრომაციის გავრცელების შემდეგ. 8 აგვისტოს გავრცელდა ინფორმაცია რომ უპრეცედენტო მაღალი ქულები აბიტურიერნტებმა იმიტომ მიიღეს, რომ გამოცდების ტესტები წინა დღით აბიტურიენტების ნაწილს დაურიგდა. მ საკითხით დაინტერესდა ტელეკომპანია პირველის საინფორმაციო სამსახურში. სამირა ბაირამოვას დაუკავშირდა ტვ პირველის ჟურალისტი, რადგან ბაირამოვა არის ის პირი რომელმაც რეგიონში აქტივისტია და აქტიურად ჩართულია ეთნიკური უმცირესობების საკითხებით, ამირა ბაირამოვას ჩაწერის შემდეგ ჟურნალისტმა ითხოვა ბაირამოვასგან ვინმე პირის ჩაწერას რომელიც შეაფასებდა ტესტების ხარიხს, ტესტები ადვილი იყო თუ არა ან როგორ არის სუტუაცია მარნეულში აბიუტურენებტების კუთხით. ბაირამოვამ, გადაამისამართა ჟურნალისტი მარნეულელ მასწავლებელთან ელვის ჰასანოვთან, რომელიც მათემატიკოსია და ეწევა რეპეტიტორობის კერძო პრაქტიკით. აბიტურიენტებს უნარებში ამზადებს წლებია. მანამდე ჟურნალისტმა არ აღნიშნა, რომ ის ეძებს ის მასწავლებელს ვინც გავრცელა წინასწარ მასალას ან ჰქონდა თუ არა ინფორმაცია ამის შესახებ, ის უბრალოდ ეძებდა აქტივისტი ან მასწავლებელს ვინც შეაფასებდა არსებულ გამოცდას. ტვ პირველის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე მოკლე ინტერვიუ ორ მასწავლებელთან. პირველიინტერვიუ, უშუალოდ ჩაწერა ჟურნალისტმა ელვირ ჰასანოვთან. მასწავლებლისთვის მოულოდნელად აღმოჩნდა კითხვა რომ ის ეჭვმიტანილადაა მოაზრებული და მხოლოდ ამიტომ მას ართმევენ ინტერვიუს. ჟურნალისტი, უსვამს მასწვალებელს რამდენიმე კითხვას, ბოლოს კი ეუბნება რომ ის ეჭვმიტანილია ამ ტესტების გავრცელებაში."თქვენ და კიდევ ერთი რეპეტიტორი ასე ვთქვათ, ხართ დადანაშაულებულები, ეჭვმიტანილები,რომ თქვენ" არ ასახელებს ინფრმაციის წყაროს,გამოძიება ამ დროს არ იყო დაწყებული და მასწვალებელი გასანოვი ჟურნალისტისგან იგებს ინფრმაციას რომ ის არის ამ სკანდალის ერთ ერთი მთავარი ფუგურანტი. დაუსაბუთებელი ბრალდება მასწავლებლის რომელიც ასწავლის სკოლაში მათემატიკას, ყოველწლიურად ამზადებს აბიტურიენტებს რომლებიც იღებენ გადამსვლელ ქულებს მის ავტორიტეტზე ძალიან უარყოფითათ მოქმედებს. ვთვლით,რომ ჟურნალისტმა ამ ნაწილში დაარღვია ქარტიის პირველი პრინციპი- არ დაიცვა სიზუსტე . ჟურნალისტი არ ასახელებს წყაროებს, რომლებზეც დაყრდნობით ის საჯაროთ

ადანაშაულებს მასწავლებელს მასალების გავრცელებაში. მასალიდან არ ჩანს,რომ ჟურნალისტი ეყრდნობა რომელიმე სანდო ინფრომაციის წყაროს. ზოგადად არ ჩანს რომ მას ეს ინფორმაცია აქვს მოპოვებული. არ ჩანს ჟურნალისტის მცდელობა მოპოვებულ ინფრმაციის გადამოწმება და კეთილსინდისიერად მოაწოდოს მაყურებელს. პირველი პრინიცპის განმარტებაში წერია,რომ "არაიდენტიფიცირებული ინფორმაცია, რაგინდ მნიშვნელოვანი, უნდა გავიდეს სარედაქციო სვეტში და არა ახალ ამბებში. იგივე ეხება ამბავს, რომელსაც ჟურნალისტი შეესწრო, მაგრამ რომელიც არ დასტურდება დოკუმენტურად ფოტოთი, ვიდეოთი, ხმის ჩანაწერით და ა.შ.ასევე გასანოვმა ჟურნალისტს უთქვამია, რომ ის ქართულად კარგად არ იცის და ამიტომ ვერც კი მიიღებდა საგამოცდა კომისიაში თარგმნის პროცესში მონაწილეობას.შესაბამისად მას არ აქვს არა ნაირი ინფორმაცია ფაქტის და გავცელებული მასალის შესახებ. არ მივიღებთ განმარტებას რომ ეს სოციალურ მედიისთვის მისაღები ფორმატია და ახალი ამბის მცირე ნაწილია. ეს თემა არის მნიშვნელოვანი რომელიც დაკავშირებულის სისხლის სამართლის მუხლით და ამის მოკლე და ზედაპირული გაშუქება დაუდასტურებელ საკითხის ფაქტად გამოტანა ფართო საზოგადოებაზე კვლავ ქარტიის სიზუსტის პრინციპზე გადის. სადაც ინფორმაცია უნდა იყოს გადამოწმებული ან ეყრდნობოდეს ისეთ წყაროებზე რომელიც საზოგადოებაში იწვევს ნდობას ან აძლევდეს მტკიცებულებას,რომ ეს სავარაუდოდ სიმართლეა. https://www.facebook.com/watch/?v=363129605844258 ამავე დღეს ტვ პირველის ეთერში 8 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა უფრო ვრცელი რეპორტაჟი ამ თემასთან დაკავშირებით. ჟურნალისტს რესპოდენტებათ ყავს ორი სავარაუდო აბიტურიენტი. მათ ინტერვიუების ნაწილში არ არის მითითებული სახელი,გვარი არც პროფესია ან სამუშაო ადგილი. შეიძლება ვიმსჯელოთ რომ ახალგაზრდა ქალი ასევე იყო აბიტურიენტი. მეორე რესპოსდენტი როგორც ჩანს არის პირველი რესპოდენტი ქალის ძმა, რომელს არ აქვს არ დამატებითი ინფრომაცია, არც აფასებს გამოცდებს როგორც მონაწილე. ის აკეკეთებს შეფასებას, თუმცა სიუჟეტიდან და ჟურნალისტის ტექსტიდან არ ჩანს რამდენად მისი პოზიცია და მოსაზრება ღირებულია ამ თემის გაშუქებაში და რა როლს თამაშობს ის მასში. ჟურნალისტი ტექსტში ამბობს რომ ეჭვები გამოიწვია ის რომ აზერბაიჯანულენოვანმა აბიტურიენტებმა მიიღეს უპრეცედენტო მაღალი ქულები რაც თემს არ ახსოვს. არ ასახელებს შარშანდელი წლების სტატისტიკას რომელიც შეიძლება უფრო მკაფიოდ დაგვანახოს რამდენად უპრეცედენტო შეიძლება იყოს ეს შედეგები. მეორე კი ჟურნალისტი აკეთებს ისეთ აქცენტს თითქოს და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტებს არ შეუძლიათ გამოცდების მაღალი ქულების ჩაბარებას. რაც ჩვენი აზრით დისკრიმინაციულიცაა. სიუჟეტის გაგრძელებისას ჟურნალისტი ტექსტში აღნიშნავს რომ მათ მოიპოვეს მტკიცებულებები რომ ტესტები გამოტანილია, ამ ტექსტის შემდეგ შემოდის სამირა ბაირამოვას სინქრონი რომელშიც ის აღნისნავს რომ მას გადმოუგზავნეს სავარაუდო მტკიცებულებები ტესტების გაყალბების შესახებ. ბაირამოვა ამის შესახებ დაწერა საჯარო პოსტიც და აღნიშნა რომ ამ მასალებით პოლიციას მიმართავს. სიუჟეტში ბაირამოვა ერთვება პოლიციის შენობიდან.სადაც მან იმ დროს აძლევდა ჩვენებას მოპოვებულ მასალებთან დაკავშირებით. ჟურნალისტის მიერ ნახსენები მოპოვებული ინფორმაცია არის სამირა ბაირამოვაზე დაყრდნობით თუ მათ ცალკე სხვა წყაროდან აქვს მოპოვებული ინფრმაცია ასევე გაუგებარია. ამის მერე ჟურნალისტი კვლავ გადადის რეპეტიტორებზე,სადაც ჟურნალისტი ტექსტში კვლავ ქმნის კონტექსტს რომ ორი მასწვალებლის ამ მაქინაციაში ჩართულობა დამტკიცებულია. ჟურნალისტი ამბობს სიუჟეტის დასაწყისში რომ ეჭვები გაჩნდა იმის მერე რაც აბიტურიენტებმა მაღალი ქულები მიიღეს, ელვის ჰანანოვის სინქრონში კი ის ადასტურებს იმ ნარატივს რომ მაღალი ქულების მიღება დაკავშირებულია გაჟონილ ტესტებთან და რეპეტიტორ ჰასანოვის 150 მოსწავლიდან 130 მიიღო მაღალი გადამსვლელი ქულებია. რაც დღისით მოკლე ინტერვიუში გავცერელბულ ნარატივს კვლავ ადანაშაულებს რეპეტიტორს. ეს ბრალდება კი მხოლოდ ჟურნალისტის ტექსტიდან ჩანს და მტკიცებულება ანონიმურ წყაროზე დაყრნობითაც არ დასტურდება. ბოლო ნაწილში ჩაწერილია იურისტი ალი ბადიროვი, რომლის ამ რეპორტაჟში რელევანტურობა ეჭვის ქვეშ დგას. ბადიროვი არ არის დაკავშირებული ამ საკითხთან. მის საქმიანობა არ არის დაკავშირებული გამოცდებთან, გამოცდების ეროვნულ ცენტრთან, ის არც აბიტურიენტების ან რეპეტიტორების ადვოკატია. მისი სახელი გვარი არ იყო დაფიქსირებული სიუჟეტში არც კავშირი ამ თემასთან. ?აც ჟურნალისტის მხრიდან კიდევ ერთი მანიპულაცია და

უზუსტობაა რომელიც მაყურებელის შეცდომაში შეყვანის მცდელობათ შეგვიძლია შევაფასოდ. მთავარი საკითხი და მხარე გამცდების ეროვნული ცენტრი ჟურნალისტის მიერ მხოლოდ სიუჟეტის დასაწყისშია ნახსენები, რომ ცენტრი გრანდიოზულ სკანდალში ეხვევა, თუმცა ცენტრის არც ერთი წარმომადგენელი ჟურნალისტს არ ყავს ჩაწერილი და სიუჟეტიდან არც კი ჩანს რომ მას ჰქონდა მცდელობა ჩაეწერა ამ საკითხის მნისვნელოვანი მხარე. რაც ასევე უზუსტობა და არაკეტილსინდისიერებაა. რომელიც ასევე პირველი პრინციპის ჭრილში უნდა იყოს განხილული. https://www.facebook.com/watch/?v=1022401229160077

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. : ვეთანხმები